

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რომანული ფილოლოგიის კათედრა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Chair of Romance Philology



Ambasciata d'Italia
Tbilisi



დანტე ალიგიერის საზოგადოება
Dante Alighieri Society

იტალიის საელჩო თბილისში
Embassy of Italy in Tbilisi

დანტე ალიგიერის გარდაცვალებიდან 700
წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია
International Scientific Conference Dedicated to the 700th
Anniversary of the Death
of Dante Alighieri

„დანტეს შემოქმედება, როგორც
მსოფლიო კულტურული
მემკვიდრეობის საგანძური“
“Dante’s Creative Work as the Treasure
of the World Cultural Heritage”

თეზისები/ABSTRACTS
27-28/10/2021

თბილისი
Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი (საქართველო)
პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი (საქართველო)
ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახიძე
(საქართველო)
ასოცირებული პროფესორი ნინო ცერცვაძე
(საქართველო)
პროფესორი ჯუზეპე მაუჯერი (იტალია)
პროფესორი გრაციანო სერაჯოტო (იტალია)

კოორდინატორი: სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
მარიამ გვასალია

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili (Georgia)
Professor Giorgi Alibegashvili (Georgia)
Associate Professor Maia Javakhidze (Georgia)
Associate Professor Nino Tsertsvadze (Georgia)
Professor Giuseppe Maugeri (Italy)
Professor Graziano Serragiotto (Italy)

Coordinator: a student of Master Degree Program
Mariam Gvasalia

რეგლამენტი:

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენები – ქართული, იტალიური, ინგლისური.

Time limit:

Presentation – 15 mins
Discussion – 5 mins

Working languages – Georgian, Italian, English

სარჩევი

იტალიურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები მე-17 საუკუნიდან დღემდე	
ნათია აბრამიშვილი	7
THE MAIN DEVELOPMENT STAGES OF THE ITALIAN-GEORGIAN LEXICOGRAPHY FROM THE 17TH CENTURY TO THE PRESENT DAY	
Natia Abramishvili	9
L'INSEGNAMENTO DELL'ITALIANO IN GEORGIA: INDAGINE SUL TERRITORIO DI TBILISI	
Marco Brignone	11
დანტეს იმპულსები რენესანსის მხატვრობაში (სანდრო ბოტიჩელი)	
გია ბუღაძე	12
DANTE'S IMPULSES IN RENAISSANCE PAINTING (SANDRO BOTTICELLI)	
Gia Bughadze	14
კოგნიტური მეტაფორები თანამედროვე იტალიურ და ქართულ მასმედიაში : კოვიდ 19	
სალომე ირემაძე	16
COGNITIVE METAPHORS IN MODERN ITALIAN AND GEORGIAN MASS MEDIA: COVID 19	
Salome Iremadze	19
იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის XVIII საუკუნის ხელნაწერი	
სალომე კენჭოშვილი	22
XVIII CENTURY MANUSCRIPT OF THE ITALIAN-GEORGIAN BOTANICAL DICTIONARY	
Salome Kenchoshvili	24

რიცხვთა სიმბოლიკის, ანუ ნუმეროლოგიის, ფენომენი დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით	
ანნა კვარაცხელია ნინო ცერცვაძე	26
THE PHENOMENON OF NUMBER SYMBOLISM ACCORDING TO DANTE ALIGHIERI'S "DIVINE COMEDY"	
Anna Kvaratskhelia Nino Tsertsvadze	28
დანტე ფლორენციის ყოველდღიურობაში : მემორია ლური დაფები „ღვთაებრივი კომედიის“ ციტატებით	
ფრანჩესკო კოკორულო ია მელქაძე	30
DANTE IN THE DAILY LIFE OF FLORENCE: COMMEMORATIVE PLAQUES WITH QUOTES FROM THE DIVINE COMEDY	
Francesco Cocorullo	33
დანტე 700 - ბეატრიჩე ქართულ სცენაზე	
დავით მაზიაშვილი	35
DANTE 700 – BEATRICE ON THE GEORGIAN STAGE	
David Maziashvili	37
IL METODO INDUTTIVO PER LA SCOPERTA DEL TESTO LETTERARIO	
Giuseppe Maugeri	39
იძულებითი ემიგრაციისა და გადასახლების გავლენა იტალიელი და ქართველი მწერლების შემოქმედებაზე	
მარიამ ნაჭყებია ნინო ცერცვაძე	40
THE IMPACT OF FORCED EMIGRATION AND EXILE ON THE WORKS OF ITALIAN AND GEORGIAN WRITERS	
Mariam Nachkebia	

Nino Tsertsvadze	42
დანტეს პარადიგმა ისტორიული ემიგრაციის დისკურსში	
რუსუდან ნიშნიანიძე	44
DANTE'S PARADIGM IN THE DISCOURSE OF HISTORICAL EMIGRATION	
Rusudan Nishnianidze	48
დანტე და ბაირონი მთარგმნელობით სივრცეში - ქართული ნარატივი	
თინათინ სიხარულიძე	51
DANTE AND BYRON IN THE TRANSLATION SPACE - GEORGIAN NARRATIVE	
Tinatin Sikharulidze	54
დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი	
დენიზა სუმბაძე	57
DIONYSIUS THE AREOPAGITE AND DANTE ALIGHIERI	
Denyza Sumbadze	59
ჩეზარე პავეზეს ერთი ლექსის გაგებისათვის	
ნიკოლოზ შამუგია	60
TOWARDS AN INTERPRETATION OF CESARE PAVESE'S PASSERÒ PER PIAZZA DI SPAGNA	
Nikoloz Shamugia	63
გმირი ნოსტოსის გარეშე - ულისეს (ოდისევსის) ბოლო მოგზაურობა „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით	
ქეთევან ჩოხელი	
ნინო ცურცვაძე	65
A HERO WITHOUT NOSTOS - THE LAST JOURNEY OF ULYSSES (ODYSSEUS) ACCORDING TO "THE DIVINE COMEDY"	
Ketevan Chokheli	
Nino Tsertsvadze	67
დანტე აქტუალური პოეტი: ადამიანის ეპისტემიო ლოგიური ძიების	

გზის რამდენიმე ასპექტი „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით ნინო ცერცვაძე	69
DANTE - THE CURRENT POET: SEVERAL ASPECTS OF THE HUMAN EPISTEMO- LOGICAL SEARCH PATH ACCORDING TO “THE DIVINE COMEDY” Nino Tsertsvadze	72
წმ. მარკოზ მახარებლის წირვის იტალიური თარგმანის ტერმინოლოგიური კვლევა მარიკა ჭითანავა-ლობჯანიძე	74
TERMINOLOGICAL RESEARCH OF THE ITALIAN TRANSLATION OF THE LITURGY OF ST. MARK THE EVANGELIST Marika Tchitanava-Lobzhanidze	76
დანტე UNA ITALIA-სა და უნივერსალური მსოფლიო მონარქიის ფუძემდებელი „DE MONARCHIA“-ს მიხედვით. ლეილა (ია) ხუბაშვილი	78
DANTE ACCORDING TO UNA ITALIA AND “DE MONARCHIA” – THE FOUNDER OF UNIVERSAL WORLD MONARCHY Leila (Ia) Khubashvili	81
ცხოვრება მოგზაურობაა, როგორც კონცეპტუალური მეტაფორა და ალეგორიის საფუძველი მაია ჯავახიძე	84
LIFE IS A JOURNEY AS A CONCEPTUAL METAPHOR AND BASIS OF ALLEGORY Maia Javakhidze	87

იტალიურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითა დი ეტაპები მე-17 საუკუნი დან დღემდე

ნათია აბრამიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: *დექსიკოგრაფია, იტალიურ-ქართული დექსიკონი*

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია კარგად ასახავს როგორც ევროპული ქვეყნების ინტერესს საქართველოსადმი, ისე ქართველი ხალხის სწრაფვასა და დაინტერესებას ევროპული ენებითა და სახელმწიფოებით.

ქართულ-იტალიურ ლექსიკოგრაფიას საუკუნოვანი ისტორია აქვს. სხვადასხვა ეპოქაში ქართულ-იტალიური თუ იტალიურ-ქართული ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო სხვადასხვა საჭიროებებით, ისტორიული თუ კულტურული კონტექსტით.

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ქართული ენის ორენოვანი ლექსიკონები ძირითადად იტალიურ ენასთან მიმართებით იქმნება. მეზობელი მაჰმადიანი ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ აიძულებდა ქართველებს, დახმარება დასავლეთში ეძებნათ და ევროპელებისთვის მიემართათ. თავის მხრივ, რომის კათოლიკური ეკლესია დაინტერესებული იყო მისიონერული ცენტრების დაარსებით აღმოსავლეთში. სწორედ მე-17 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ქართულ-იტალიურ ლექსიკოგრაფიას და ამ დროიდან მოყოლებული არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ლექსიკონი შეიქმნა, ესენია: პაოლინი-ირბაქის ლექსიკონი, ბერნარდო მარია ნეაპოლელის იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები, გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონი, სულხან-საბა

ორბელიანის სიტყვის კონა, რომელშიც ქართულ განმარტებებთან ერთად შესული იყო იტალიური, სომხური და თურქული შესატყვისები.

დღეისათვის იტალიურ ენასთან მიმართებით ბევრი ლექსიკონი, თვითმასწავლებელი თუ სასაუბრო იქმნება, თუმცა ამჯერად იტალიური ენით დაინტერესება, ბუნებრივია, გამოწვეულია სრულიად სხვა ტიპის მიზეზებით, რომელთა შორის უპირველესია საგანმანათლებლო მიზნები და შრომითი მიგრაცია.

დღეს არსებულ ლექსიკონებს შორის ყველაზე სრულყოფილი შემდეგი სამია:

1) იტალიურ-ქართული ლექსიკონი (Dizionario Italiano-Georgiano, თბილისი, 1999), რომლის ავტორები არიან ნინო ცერცვაძე, კლაუდიო დებიაზი და თინათინ ახმეტელი. 2) იტალიურ-ქართული ლექსიკონი (Dizionario Italiano-Georgiano, თბილისი, 2006), რომლის ავტორები არიან ლუიჯი მანტოვანი და მარინა ოცხელი. 3) ქართულ-იტალიური ლექსიკონი (Dizionario Georgiano-Italiano, თბილისი, 2009), რომლის ავტორები არიან კლაუდიო დებიაზი და გიორგი ბუხნიკაშვილი. 2011 წელს ქართულ-იტალიური ლექსიკონი მეორედ გამოიცა. ლექსიკონი 568-გვერდიანია და 14 000 სიტყვას მოიცავს.

ლიტერატურა:

- ახვლედიანი, ც., ჯავახიძე მ. (2011). იტალიური ენის ისტორია. თბილისი. „მერიდიანი“.
- ბაკურაძე, ლ. (2012). „ქართული დიალექტური ლექსიკა იტალიელი მისიონერის – ბერნარდო მარია ნეაპოლელის ლექსიკონებში“. თბილისი. ლექსიკოგრაფიაში ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები.
- ზარიძე, ნ. დ. (1999). ტრანსლიტერაციის წესები და პაოლინ-ირბახის „ქართული და იტალიური ლექსიკონი (რომი, 1629 წელი). თბილისი.
- მანტოვანი, ლ., ოცხელი, მ. (2009). იტალიურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
- მარგალიტაძე, თ. (2014). ინგლისურ-ქართული ლექსიკოლოგია. „ქართველოლოგი“. N20 (5). 76-206. თბილისი.
- ცერცვაძე, ნ., დებიაზი, კ., ახმეტელი, თ. (2006) იტალიურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი. გამომცემლობა „ოაზისი“.

THE MAIN DEVELOPMENT STAGES OF THE ITALIAN-GEORGIAN LEXICOGRAPHY FROM THE 17th CENTURY TO THE PRESENT DAY

Natia Abramishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: lexicography, Italian-Georgian dictionary

The history of Italian-Georgian lexicography perfectly reflects the interest of European countries towards Georgia, as well as an aspiration and interest of Georgian people towards European languages and countries.

The history of Italian-Georgian lexicography is centuries old. During each period, the necessity of creating an Italian-Georgian or Georgian-Italian dictionary was caused by different needs, historical and cultural context.

In the 17th century Georgian bilingual dictionaries were created mainly in relation to the Italian language. The aggressive politics of neighbor Islamic countries led Georgians to seek help in the west and turn to European countries. On the other hand, the Roman Catholic Church was interested in establishing missionary centers in the east. The history of Georgian-Italian lexicography dates precisely back to the 17th century and since then many interesting and important dictionaries have been created, including: Dictionary of Paolini-Irbakhi, Italian-Georgian and Georgian-Italian dictionaries of Bernardo Maria of Naples, Italian-Georgian dictionary of an anonymous author from Gori, Dictionary of Sul Khan-Saba Orbeliani, which besides explanations of Georgian words includes their Italian, Armenian and Turkish equivalents.

Nowadays many Italian-Georgian and Georgian-Italian dictionaries and manuals are created, but the interest in Italian

language now is caused by absolutely different reasons, among of which the primary reasons are educational and labour migration.

At present the most complete are the following three dictionaries:

1. Italian-Georgian Dictionary (Dizionario Italiano-Georgiano, Tbilisi, 1999), by Nino Tsertsvadze, Claudio Debiasi and Tinatin Akhmeteli.
2. Italian-Georgian Dictionary (Dizionario Italiano-Georgiano, Tbilisi, 2006) by Luigi Mantovani e Marina Otskheli.
3. Georgian-Italian Dictionary (Dizionario Georgiano-Italiano, Tbilisi, 2009) by Claudio Debiasi and Giorgi Bukhnikashvili. This dictionary was published for the second time in 2012. It contains 568 pages and 14 000 words.

References:

- Akhvlediani, T., Javakhidze, M. (2011). History of Italian Language. Tbilisi: "Meridiani".
- Bakuradze, L. (2012). Kartuli dialekturi leksika italieli misioneris – Bernardo Maria Neapolelis leksikonebshi. [Georgian dialectical vocabulary in the dictionaries of Italian missionary Bernardo Maria of Naples]. Materials of Batumi II International Symposium in Lexicography.
- Mantovani, L., Otskheli, M. (2009). Italian-Georgian Dictionary. Tbilisi.
- Margalitadze, T. (2014). English-Georgian Lexicology. Kartvelologi, N 20 (5). 176-206.
- Zaridze, N. (1999). Transliteratsiis tsesebi da paolini-irbakis kartul-italiuri leksikoni (romi, 1629 tseli). [The rules of transliteration and Georgian-Italian Dictionary of Paolini-Irbakhi (Rome, 1629)]. Tbilisi.
- Tsertsvadze, N., Debiasi, C., Akhmeteli, T. (2006). Italian-Georgian dictionary. Tbilisi: "Oazisi"

L'INSEGNAMENTO DELL'ITALIANO IN GEORGIA: INDAGINE SUL TERRITORIO DI TBILISI

Marco Brignone

Università Statale Linguistica di Minsk

Parole chiavi: *territorio, ricerca, eventi, progetti*

L'intervento ha lo scopo di illustrare uno studio di ricerca e indagine, rilevamento dati e attuazione di progetti nel territorio della città di Tbilisi ed è articolato in fasi distinte e con un puntuale e proficuo confronto con i referenti degli istituti coinvolti. La ricerca si propone di raggiungere obiettivi quali, l'organizzazione di un evento culturale che coinvolga soggetti interessati alla lingua e cultura italiane in sintonia con i loro bisogni e desideri, l'arricchimento dell'offerta formativa, la formazione di un *network* che colleghi fra di loro istituzioni e individui che condividono il medesimo interesse per l'italiano, allo scopo di incrementare la diffusione della conoscenza della lingua e cultura italiane, e creare sinergie durature fra gli istituti. A tal scopo si espongono le fasi dell' indagine, durante la quale ci si è avvalsi della collaborazione di direttori e docenti che hanno contribuito alla progettazione degli strumenti di rilevazione e interpretazione dei dati raccolti, allo scopo di rendere lo studio il più possibile oggettivo e aderente alle realtà del contesto preso in esame. Si espongono infine le proposte progettuali coerenti con gli obiettivi dell'indagine e i dati raccolti: le proposte considerate attuabili nel breve periodo sono state sottoposte ad analisi di pianificazione strategica, messe in atto e documentate. Il risultato finale è l'attuazione di un evento legato alla cucina e cultura italiane e un portale online che fornirebbe prestazioni in termini di automatizzazione di servizi statistici e una banca dati di istituti interessati a condividere le proprie informazioni, risorse umane e materiali didattici, con l'obiettivo di creare una rete di studenti ed estimatori della lingua e cultura italiane.

დანტეს იმპულსები რენესანსის მხატვრობაში (სანდრო ბოტიჩელი)

გია ბულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: მხატვრობა, ინსპირაცია, ღიებულებები

„ღვთაებრივი კომედია“ წარუვალ საკაცობრიო ფასეულობებსა და ადამიანის ყოფაში ამ ფასეულობათა გაცხადებას ეხება; დანტე სვამს საკვანძო შეკითხვებს და ძალზე დამაჯერებელი, ლიტერატურული ხატ-სახეებით, წარმოსახვებითა თუ ხილვებით გარკვეულწილად კიდევ სცემს პასუხს ამ შეკითხვებს: რატომ გავჩნდით? რატომ ვკვდებით? რა გველის სიცოცხლის დასრულების შემდეგ? რას მოვიმკით იმქვეყანად და რატომ? და ა.შ.

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მაინსპირირებული ძალა ძლიერია ყველა დროში. მისი შთამბეჭდავი ლიტერატურული ხატ-სახეები თუ შეკითხვები შთააგონებს სხვადასხვა ეპოქის ხელოვანს, იქნება ეს მხატვარი, მუსიკოსი თუ მწერალი. რენესანსის ეპოქა კი სწორედ დანტეს დაღს ატარებს და ამ მხრივ გამონაკლისი არც ამ პერიოდის მხატვრობაა.

მოხსენების მიზანია, წარმოვაჩინოთ როგორ აისახა დანტეს იდეები რენესანსის მხატვრობაში, კერძოდ კი, კვატროჩენტოს ხანის უდიდესი მხატვრის, სანდრო ბოტიჩელის, შემოქმედებაში. გარდა იმისა, რომ ბოტიჩელის შექმნილი აქვს დანტეს „ღვთაებრივი კომედის“ ილუსტრაციები, მისი შემოქმედების ბოლო პერიოდის ფერწერულ ნამუშევრებში აშკარად წარმოჩინდება დანტეს მაინსპირირებული იმპულსი. ეს ნათლად ჩანს დანტეს ქმნილებისა და ჭიროლამო სავონაროლას შთამბეჭდავი ქადაგებების გავლენით ბოტიჩელის მიერ შექმნილ ორ ნამუშევარში „მისტიკური ჯვარცმა“ და „მისტიკური შობა“. ამ ნამუშევრების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს დანტეს „ღვთა-

ებრივ კომედიაში“ ლიტერატურული ხატ-სახეებით გადმოცემულ ძირითად ღირებულებებსა და პოსტულატებს: ცოდვის გამოაშკარავებას, სასჯელის მოლოდინს, უფლის რისხვის გამოართლებას, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო კონკრეტული ადამიანის, არამედ საზოგადოების, ქვეყნისა და დანტესა და ბოტიჩელისათვის საყვარელი ქალაქის - ფლორენციის მიმართაც.

ლიტერატურა:

- გვარდინი, რ. - Guardini R. (1998). Dante-Studien. 3. Band: Dantes Göttliche Komödie. Ihre philosophischen und religiösen Grundgedanken (Vorlesungen) Aus dem Nachlaß herausgegeben von Martin Marschal. Grünevald / Schöninh, Mainz / Paderborn.
- ვაზარი, ჯ. – Vazari G. (2006). Lives of the Most Excellent Painters, Sculptors, and Architects. Translated by Gaston du C. de Vere. Edited, with an Introduction and Notes by Philip Jacks. The modern Library. New York.
- ლე გოფი, ჟ. – le Goff, J. (1984). The Birth of Purgatory. Chicago: University of Chicago Press.
- ვენტური ლ. – Venturi L. (2016). Botticelli. Phaidon Press Ltd. London.
- ჟილსონი, ე. – Gilson E. (1939). Dante et la Philosophie. Paris. J. Vrin.

DANTE'S IMPULSES IN RENAISSANCE PAINTING (SANDRO BOTTICELLI)

Gia Bughadze

Iliia State University
School of Arts and Sciences

Keywords: painting, inspiration, values

The “Divine Comedy” deals with the eternal values of humanity and the proclamation of these values within human existence; Dante asks key questions, and, with very persuasive literary imagery or visions, to a certain extent even answers some of them: Why do we come into being? Why do we die? What awaits us beyond this life and why? etc.

The inspirational force of Dante’s “Divine Comedy” remains strong throughout time. Dante’s impressive imagery or questions inspire artists from different eras, be it painters, musicians or writers. Indeed, the epoch of the Renaissance carries the imprint of Dante’s oeuvre, and thus the painting of this period is no exception.

The aim of this presentation is to show how Dante’s ideas were reflected in Renaissance painting, in particular in the work of Sandro Botticelli, one of the greatest painters of Quattrocento. Besides Botticelli’s illustrations of Dante’s “Divine Comedy”, Dante’s inspirational impetus is also evident in his later paintings. This is clearly visible in Botticelli’s two works, “The Mystic Crucifixion” and “The Mystical Nativity”, which were created under the influence of Dante’s creations and the impressive sermons of Girolamo Savonarola. The analysis of the imagery of these works clearly reveals the core values and postulates conveyed in Dante’s “The Divine Comedy”: the revelation of sin, the expectation of punishment, the justification of the Lord’s wrath, which were considered not only in relation to a particular person but also in the context of the entire society, the country, not to mention Dante’s and Botticelli’s beloved city of Florence.

References:

- Guardini R. (1998). Dante-Studien. 3. Band: Dantes Göttliche Komödie. Ihre philosophischen und religiösen Grundgedanken (Vorlesungen) Aus dem Nachlaß herausgegeben von Martin Marschal. Grünevald / Schöninh, Mainz / Paderborn.
- Vazari G. (2006). Lives of the Most Excellent Painters, Scupltors, and Architects. Translated by Gaston du C. de Vere. Edited, with an Introduction and Notes by Philip Jacks, The Modern Library, New York.
- le Goff, J. (1984). The Birth of Purgatory. Chicago: University of Chicago Press.
- Venturi L. (2016). Botticelli. Phaidon Press Ltd, London.
- Gilson E. (1939). Dante et la Philosolhie. Paris. J. Vrin.

კოგნიტური მეტაფორები თანამედროვე იტალიურ და ქართულ მასმედიაში : კოვიდ 19

სალომე ირემაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: მეტაფორა, კოვიდ 19, საქაჩთველო, იგადია

მეტაფორის შემსწავლელი ბევრი სხვადასხვა თეორია არსებობს. ტრადიციულად, მეტაფორა განიხილებოდა ენობრივი ფორმის თვალსაზრისით და მას განმარტავდნენ, როგორც მხატვრული მეტყველების ხერხს, პოეტური აზროვნების ფორმას. ბოლო პერიოდში კი მკვლევრების ყურადღება მიიქცია მეტაფორის ემპირიულმა ბუნებამ კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ კონტექსტში. ენის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანი გახდა ადამიანის კონცეპტუალური აზროვნების როლი ენასთან მიმართებაში.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში მეტაფორა განმარტებულია, როგორც ერთი კონცეპტუალური სფეროს გაგება მეორე სფეროს ტერმინებში. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ **ცხოვრებაზე**, როგორც **მოგზაურობაზე**; **კამათზე**, როგორც **ომზე**. მეტაფორის ამგვარი გაგება უკავშირდება ჩვენს ყოველდღიურ გამოცდილებას. ჩვენ ზუსტად ვიცით (ჩვენი გამოცდილებიდან) რა არის მოგზაურობა, ომი და მათ ვიყენებთ აბსტრაქტული ცნებების (ცხოვრება, კამათი) გასაგებად. ვცდილობთ, განვმარტოთ აბსტრაქტული ცნებები კონკრეტული ცნებების დახმარებით.

ნაშრომის მიზანი იყო, დაგვედგინა და გაგვეანალიზებინა, როგორ დამკვიდრდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა, კოვიდ-19, როგორც კოგნიტური მეტაფორა იტალიურ და ქართულ მასმედიაში: რომელი ლინგვისტური მეტაფორები გამოიყენება მისი აღწერისათვის; კოგნიტური მეტა-

ფორების რომელი წყარო დომენები ახდენენ კორონავირუსის კონცეპტუალიზაციას; როგორი სახის კონცეპტუალური მეტაფორები ქარბობს ზოგადად ადამიანის დისკურსში; რა მსგავსება - განსხვავება იკვეთება იტალიურ და ქართულ მაგალითებში.

ანალიზის საფუძვლზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, თუ რამდენად დიდ როლს ასრულებს აბსტრაქტული სფეროს გასაგებად ჩვენ ირგვლივ არსებული ფიზიკური სამყარო და ამ ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული პირადი გამოცდილება. შეგროვებული მასალის ანალიზის შედეგად იტალიურ და ქართულ ენაში გამოვლინდა ორი ძირითადი კონცეპტუალური მეტაფორა: კოვიდთან ბრძოლა არის ომი და კოვიდი არის ბუნებრივი კატასტროფა. ორივე ენაში სრულად არის დამუშავებული ის მეტაფორული გამომდინარეობანი (entailments), რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ამ კონცეპტუალურ მეტაფორებს.

ლიტერატურა:

- არისტოტელე. (1981). რიტორიკა. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ბეიტსი, ბ.რ. - Bates, B.R. (2020). The (In) Appropriate of the WAR Metaphor in Response to SARS-COV-2: A Rapid Analysis of Donald J. Trump's Rhetoric. <https://doi.org/10.3389/fcomm.2020.00050>
- გალანტინო, მ.გ. - Galantino, M.G. (2010). Health, risk and communication: the case of atypical pneumonia. (SARS). Sapienza University of Rome. <https://www.researchgate.net/publication/339942316>
- გულიაშვილი, ნ.(2017). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მეტაფორული რეპრეზენტაციები: ომის კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში.თბილისი: „კადმოსი“.
- კირვალიძე, ნ. (2009). პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები.3 (35). 121 – 125. თბილისი: „ინტელექტი“.
- კროფტი, ვ. კრუზ, დალანი. - Croft, W & Cruse, D.Alan. (2004). Cognitive Linguistics. Cambridge University Press.

კოვეჩესი, ზ. -Kövecses, Z. (2002). Metaphor. A practical introduction. Oxford University

Press.

კოვეჩესი, ზ. - Kövecses, Z. (2010). Metaphor and Culture. Acta Universitatis Sapientiae.

ლაკოფი, გ., ჯონსონი, მ. - Lakoff, G., & Johnson, M. (1998). Metaphor and everyday life.

Milan: Bompiani Instruments edition.

პასკოლეტი, მ. - Pascoletti, M. (2020). We are not at war and solidarity is needed against

the coronavirus. <https://www.valigiablu.it/coronavirus-solidarieta/>

რიბაკოვა, ე.ვ. - Ribakova, E.V. (2015). Metaphor Paradigms.

https://www.academia.edu/24424022/%D0%A1%D0%A2%D0%90%D0%A2%D0%AC%D0%AF_%D0%9F%D0%B0%D1%80%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%B3%D0%BC%D1%8B_%D0%BC%D0%B5%D1%82%D0%B0%D1%84%D0%BE%D1%80%D1%8B

სონტაჯი, ს. - Sontag, S. (1979). Illness as a Metaphor. Aids and Cancer. Turin: Giulio

Einaudi publisher.

სპინა, ს. - Spina, S. (2020). The plague and the earthquake and other metaphors. Coronavirus

in the speech of the Italian press. https://www.treccani.it/magazine/lingua_italiana/articoli/scritto_e_parlato/peste.html

ტესტა, ა. -Testa, A. (2020). Let's stop saying it's a war.

<https://www.internazionale.it/opinione/annamaria-testa/2020/03/30/metafora-guerra-coronavirus>

ფალოპა, ფ. - Falopa, F. (2020). On the “invisible enemy” and other war

metaphors. https://www.treccani.it/magazine/lingua_italiana/articoli/parole/cura_parole_2.html

ჩიანგი, ვ. დუანი, რ. - Chiang, W. & Duann, R. (2007). Conceptual metaphors for SARS: “war” between whom? 579 – 602. <https://www.jstor.org/stable/42889150>

ემპირიული მასალის წყარო:

<https://www.repubblica.it/>

<https://www.kvirispalitra.ge/>

<https://www.geocase.ge/ka/experts/15>

COGNITIVE METAPHORS IN MODERN ITALIAN AND GEORGIAN MASS MEDIA: COVID 19

Salome Iremadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: *metaphor, covid 19, Georgia, Italy*

There are different types of theories for studying metaphors. Traditionally, metaphor was viewed in terms of linguistic form and it was interpreted as a means of artistic expression, a form of poetic thought. More recently, however, researchers have focused on the empirical nature of metaphor in cognitive and psychological contexts. Thus, the role of human conceptual thinking in relation to language has become important in the process of language learning.

In cognitive linguistics, metaphor is defined as the understanding of one conceptual domain in terms of another domain, e.g. when we talk about LIFE AS JOURNEY; ARGUING AS A WAR. Such understanding of metaphor is linked to our daily experience. We know exactly (from our experience) what travelling or war is and we use them to understand abstract concepts (life, argument). We try to explain abstract concepts with the help of specific concepts.

The aim of the paper was to establish and analyze how one of the biggest problems of the modern world, Covid-19, was established as a cognitive metaphor in the Italian and Georgian mass media and which linguistic metaphors are used to describe it; which source domains of cognitive metaphors are conceptualized by the coronavirus; what kind of conceptual metaphors predominate in human discourse in general; what are the similarities and differences between the Italian and Georgian examples.

Based on the analysis, once again, it was revealed how the physical world around us, and the personal experience formed as a

result of the relationship with it, plays a great part in understanding the abstract domain. The analysis of the collected material revealed two main conceptual metaphors in Italian and Georgian languages: THE FIGHT AGAINST COVID IS WAR and COVID IS A NATURAL DISASTER. Both languages fully process the metaphorical entailments that make up these conceptual metaphors.

References:

- Aristotele. (1981). Ritorika. [Rhetorics]. Tbilisi: "Tbilisi State University Press".
- Bates, B.R. (2020). The (In) Appropriate of the WAR Metaphor in Response to SARS-COV-2: A Rapid Analysis of Donald J. Trump's Rhetoric. <https://doi.org/10.3389/fcomm.2020.00050>
- Chiang, W. & Duann, R. (2007). Conceptual metaphors for SARS: "war" between whom? 579 – 602. <https://www.jstor.org/stable/42889150>
- Croft, W & Cruse, D.Alan. (2004). Cognitive Linguistics. Cambridge University Press.
- Falopa, F. (2020). On the "invisible enemy" and other war metaphors. https://www.treccani.it/magazine/lingua_italiana/articoli/parole/cura_parole_2.html
- Galantino, M.G. (2010). Health, risk and communication: the case of atypical pneumonia (SARS). Sapienza University of Rome. <https://www.researchgate.net/publication/339942316>
- Guliashvili, N. (2017). 2008 tslis ruset-sakartvelos omis metaporuli reprezentatsiebi: omis kontseptualuri metaporebis kritikuli analizi gendertan mimartebashi. [Metaphorical representation of 2008 Russian-Georgian war: critical analysis of conceptual metaphors of war in relation with gender]. Tbilisi: "Kadmosi", 51.
- Kirvalidze, N.(2009). Politikuri diskursi da kognituri metaporebi. [Political discourse and cognitive metaphors]. 3 (35). 121-125. Tbilisi: "Intellect".
- Kövecses, Z. (2002). Metaphor. A practical introduction. Oxford University Press.
- Kövecses, Z. (2010). Metaphor and Culture. Acta Universitatis Sapientiae.197-220.
- Lakoff, G., & Johnson, M. (1998). Metaphor and everyday life. Milan: Bompiani Instruments edition.
- Pascoletti, M. (2020). We are not at war and solidarity is needed against the coronavirus. <https://www.valigiablu.it/coronavirus-solidarieta/>
- Ribakova, E.V. (2015). Metaphor Paradigms. https://www.academia.edu/24424022/%D0%A1%D0%A2%D0%90%D0%A2%D0%AC%D0%AF_%D0%9F%D0%B0%D1%80%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%

B3%D0%BC%D1%8B %D0%BC%D0%B5%D1%82%D0%B0%D1%84%D0%BE
%D1%80%D1%8B

Spina, S. (2020). The plague and the earthquake and other metaphors. Coronavirus in the speech of the Italian press. https://www.treccani.it/magazine/lingua_italiana/articoli/scritto_e_parlato/peste.html

Sontag, S. (1978). Illness as a metaphor. Aids and Cancer. Turin: Giulio Einaudi publisher.

Testa, A. (2020). Let's stop saying it's a war.

<https://www.internazionale.it/opinione/annamaria-testa/2020/03/30/metafora-guerra-coronavirus>

Source of empirical material:

<https://www.repubblica.it/>

<https://www.kvirispalitra.ge/>

<https://www.geocase.ge/ka/experts/15>

იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის XVIII საუკუნის ხელნაწერი

სალომე კენჭოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: ქახთუდ-იგადიუხი ბოტანიკური დექსიკონი,
ქუთაისის კათოლიკური ეკლესია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი შიფრით S4742 წარმოადგენს *იგადიუხ-ქახთუდ დექსიკონს*, რომელიც ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. პალეოგრაფიული მონაცემებით, იგი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს ან მომდევნო საუკუნის დამდეგს. რადგან იტალიური სიტყვები და მათი ქართული შესატყვისები სხვადასხვა ხელითაა შესრულებული, ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ლექსიკონი ორი პირის-იტალიელი მისიონერისა და ქართველი კათოლიკეს მიერაა შედგენილი. რადგან იტალიური სიტყვების ქართულ შესატყვისებში აქა-იქ გვხვდება იმერული დიალექტის ფორმები (“ბჟოღა”, “იმეხუდი პიღპიღი” და სხვ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ, ისევე როგორც იმავე ხანების “იტალიურ-ქართულ-ლათინური ლექსიკონი” (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Q510), *იგადიუხ-ქახთუდ დექსიკონიც* ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის გარემოშია შექმნილი. მისი ქართველი შემდგენლის ან გადაამწერის სახელი უნდა იყოს ანგონ, რომელიც ტექსტისავე ხელით მიწერილია ლექსიკონის ერთ-ერთი მონაკვეთის ბოლოს.

იგი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში ორენოვანი დარგობრივი, კერძოდ, ბოტანიკური ლექსიკონის პირველ ნიმუშს წარმოადგენს და წინ უსწრებს რაფიელ ერისთავის სა-

ბუნებისმეტყველო ლექსიკონს “მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან” (1884). იტალიურ-ქართულ ლექსიკონში მოცემულია შვიდასზე მეტი იტალიური სიტყვის, ძირითადად – საქართველოში გავრცელებული ან ადგილობრივ ყოფაში ცნობილი უცხო მცენარეების ქართული შესატყვისები; გამონაკლისის სახით გვხვდება სხვა დარგების (ფაუნის, მინერალების, ლითონების) სიტყვების ქართული ეკვივალენტები; დასტურდება მცენარეთა ქართული ნომენკლატურის ისეთი ძირძველი ფორმები, როგორებიცაა: „ქისგესისხა“, „ქისგეს ბეჭედი“, „ლანძილი“, „მაჩიამსაკმერი“, „კდისდუმა“, „საგაცუხი“, „თავშავა“, „კოწახუხი“, „მუხყანი“, „კატაბადახა“, „ბაჩამბო“ და სხვ.

რადგან ლექსიკონში წარმოდგენილი მცენარეების იტალიურ სახელწოდებათა არაერთი შესატყვისი („გეგოფადა“, „გევა იერი“, „კოვზაბადახი“ და სხვ.) არ გვხვდება ფლორის ამჟამად არსებულ ლექსიკონებში, ეს გარემოება, შესაძლოა, საგულისხმო აღმოჩნდეს მცენარეთა ქართული სახელწოდების უკვე დაკანონებული ნომენკლატურის სინონიმების შემდგომი დადგენისათვის.

აღნიშნული იტალიურ-ქართული ლექსიკონი ზოგადქართულ კულტურულ ცხოვრებაში იტალიელი მისიონერებისა და ქართველი კათოლიკეების თანამშრომლობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა.

XVIII CENTURY MANUSCRIPT OF THE ITALIAN-GEORGIAN BOTANICAL DICTIONARY

Salome Kenchoshvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: *Italian-Georgian Botanical Dictionary, Kutaisi Catholic Church*

The handwritten text of the Italian-Georgian Dictionary (code: S 4742 at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts) until now has not been the subject of special attention. According to the paleographic data, it should have been composed at the end of XVIII or the beginning of XIX century. Italian words and their Georgian equivalents are written in different handwriting and different ink. In all likelihood, the compilers of the dictionary were an Italian missionary and a Georgian Catholic. Apparently, the name of the Georgian compiler was *Anton*, which is indicated at the end of one of the sections of the dictionary. As far as among Georgian equivalents of Italian terms are sometimes found words in the *Imeretian* dialect, it gives us a reason to conclude that this text, like the “Italian-Georgian-Latin Dictionary” (Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, code: Q 510) of the same period, was compiled by the priests of Kutaisi Catholic Church.

In the history of Georgian lexicography, this manuscript is the first sample of a bilingual botanical dictionary and, as a specialized dictionary, focused upon a specific subject field, precedes Raphael Eristavi’s “Concise Georgian-Russian-Latin Dictionary of Plants, Animals and Metals” (1884).

This manuscript of the Italian-Georgian dictionary contains Georgian correspondences for more than seven hundred Italian names of plants, mainly widespread in Georgia or known in local life. Along with this, as an exception, sometimes there are translations

of the names of words from the branches of fauna, minerals and precious metals.

Since some Georgian equivalents of the Italian names of plants presented in this manuscript are absent in modern Georgian special botanical dictionaries, they can be taken into account when compiling synonyms of the botanical nomenclature.

This manuscript of the "Italian-Georgian Dictionary" is one of the original manifestations of the fruitful cooperation of Italian missionaries in Georgia and Georgian Catholic priests and their contribution to the development of Georgian culture.

რიცხვთა სიმბოლიკის, ანუ ნუმეროლოგიის, ფენომენი დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით

/დანტე ალიგიერის ლიტერატურული
მემკვიდრეობის კვლევების ანალიზი
ნუმეროლოგიური თვალსაზრისით/

ანა კვარაცხელია
ნინო ცერცვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: ნუმეჩოლოგია/რიცხვთა სიმბოლიკა,
„ღვთაებრივი კომედია“, „ახალი ცხოვრება“, დანტე, ბეატხიჩე

მოსხენება ეხება უდიდესი იტალიელი პოეტის - დანტე ალიგიერის - ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევების ანალიზს ნუმეროლოგიური თვალსაზრისით და შესრულებულია სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ნათლად დავინახოთ, თუ არსებობს უკვე მკვეთრად გამოხატული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული თეორიული საფუძველი დიდი პოეტის შემოქმედებაში („ღვთაებრივი კომედია“, „ახალი ცხოვრება“) რიცხვთა სიმბოლიკის თვალსაზრისით და დავადგინოთ, რა სახის განსხვავებული კვლევის მეთოდები და თვალსაზრისებია დღემდე გამოყენებული ჩვენი საკვლევი ფენომენის მიმართ.

სხვადასხვა კვლევამ გვაჩვენა, რომ პოეტის მიერ გამოყენებული რიცხვთა სიმბოლიკა ძირითადად დაკავშირებულია ნაწილობრივ მის ლიტერატურულ საქმიანობასთან, ნაწილობრივ იმ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტთან, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა. სხვადასხვა მეცნიერის მიერ წარმოებული კვლევების და მიგნებების მიხედვით იკვეთება რიცხვთა სიმბოლიკის დატვირთვა დანტეს

შემოქმედებაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თვითონ ნაწარმოებების აღქმას და გაგებას, რადგანაც დანტე იმდენად ზუსტი და თანამიმდევრული პოეტია, რომ მისი თითქმის ყოველი ფრაზა და ზოგჯერ მთელი ტექსტიც კი კონკრეტულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

მოხსენების მიზანია, გავაანალიზოთ რიცხვთა სიმბოლიკის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და ის, თუ რამდენად ემთხვევა დანტეს შემოქმედებაში ნუმეროლოგიური კვლევების მეცნიერთა აზრი, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი რიცხვების შესახებ, როგორებიცაა რიცხვი 9 (ბეატრიჩე და რატომ?) და რიცხვი 5 (დანტე და რატომ?).

ლიტერატურა:

- ალიგიერი, დანტე. (2016). ღვთაებრივი კომედია. მთარგმნ. კ. გამსახურდია. თბილისი: „კალიტრა L“.
- ფრარე, პ. - Frare, P. (2010). Il nome, il volo, il numero: lettura di “Purgatorio” XI. Editore Vita e Pensiero.
- გორნი, გ. - Gorni, G. (1990). Lettera nome numero, L'ordine delle cose in Dante. Editore Il Mulino.
- რემბადი დამიანი, პ. - Rembadi Damiani, P. (2005). “Un cinquecento diece e cinque”: un'ipotesi per risolvere l'enigma forte” di Dante. Periodico Studi danteschi.
- ვეჩე, კ. Vecce C. , - (1994). Beatrice e il numero amico, in Beatrice nell'opera di Dante e nella memoria europea. Edizioni Cadmo.
- ნემბრინი, ფ. - Nembrini, F. (2011). Dante, poeta del desiderio. Editore ITACA.
- გუარდინი, რ. - Guardini, R. (1999). Dante. Editore Morcelliana.

THE PHENOMENON OF NUMBER SYMBOLISM ACCORDING TO DANTE ALIGHIERI’S “DIVINE COMEDY”

/Analysis of Dante Alighieri’s Literary Heritage
Studies from a Numerological Perspective/

Anna Kvaratskhelia

Nino Tsertsvadze

Ilia State University
Faculty of Arts and Sciences

Keywords: *numerology/symbolics of numbers, “the Divine Comedy”, “New life”, Dante, Beatrice*

The following article refers to the numerological analysis of the great Italian poet Dante Alighieri’s literary heritage based on the works of different researchers. Therefore, our task is to see clearly if there is a distinctly expressed and finally established theoretical base of the symbolics of numbers in the creative work of the great author (The Divine Comedy, The New Life) and what kind of research methods and outlooks have been used in connection with the phenomenon under study.

Different investigations have shown us that the symbolics of numbers used by the poet is mainly related partly to his literary activities and partly to the socio-political and cultural context/environment in which he had to live and work. Studies and findings made by various scholars have revealed the load of numerical symbolism in Dante’s work, which largely determines the perception and understanding of the works themselves, as Dante is such an accurate and consistent poet that almost every phrase and sometimes even his entire text is subject to a specific pattern.

The aim of the report is to analyze the knowledge accumulated over the centuries about the symbolism of numbers and to what

extent the views of scientists involved in the numerological study of Dante's creative work coincide regarding such important numbers as 9 (Beatrice and why?) and 5 (Dante and why?).

References:

- Alighieri, Dante. (2016). *Ghvtaebrivi Komedija* [Divine Comedy]. Trans. K. Gamsakhurdia. Tbilisi: "Palitra L".
- Frare, P. (2010). *Il nome, il volo, il numero: lettura di "Purgatorio" XI*. Editore Vita e Pensiero.
- Gorni, G. (1990). *Lettera nome numero, L'ordine delle cose in Dante*. Editore Il Mulino.
- Rembadi Damiani, P. (2005). "Un cinquecento diece e cinque": un'opotesi per risolvere l'enigma forte" di Dante. *Periodico Studi danteschi*.
- Vecce, C. (1994). *Beatrice e il numero amico, in Beatrice nell'opera di Dante e nella memoria europea*. Cadmo Edizioni.
- Nembrini, F. (2011). *Dante, poeta del desiderio*. Editore ITACA.
- Guardini, R. (1999). *Dante*. Editore Morcelliana.

დანტე ფლორენციის ყოველდღიურობაში : მემორია ლური დაფები „ღვთაებრივი კომედიის“ ციტატებით

ფრანჩესკო კოკორულო

ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტი

ია მელქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაასტრიხტის უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: მემორიალური დაფები, ღვთაებრივი კომედია, ფლორენცია

მემორიალური დაფები, ციტატებით „ღვთაებრივი კომედიიდან“; თანამედროვე ფლორენციის არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული მემორიალური დაფები ფლორენციაში, დანტეს მშობლიურ ქალაქში, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩნდება. ფლორენციის კომუნამ დანტეს შემოქმედების მკვლევრებს 1900 წელს დაავალა ქალაქის მასშტაბით იმ ადგილების, ადამიანებისა და მოვლენების იდენტიფიცირება, რომლებსაც უზენაესი პოეტი „წმინდა პოემაში“ მოიხსენიებდა (Lombardi, 2012). პროექტი შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დღესდღეობით ფლორენციის სხვადასხვა ნაწილში განთავსებულია ოცდაათოთხმეტი მემორიალური დაფა, რომლებიც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ციტატებს მოიცავს.

მემორიალურ დაფებზე დატანილი 33 ამონარიდიდან ცხრა — „ჯოჯოხეთიდან“, ხუთი — „განსანმენდელიდან“ და ცხრამეტი კი — „სამოთხიდან“ შეირჩა და მოიცავს ამა თუ იმ ისტორიული ადგილის, პიროვნების, მოვლენის დახასიათებას, ისევე, როგორც პოეტის დამოკიდებულებას პოემის პერსონაჟებისა და მშობლიური ქალაქისადმი. დანტეს მემორიალური დაფები ფლორენციის არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის

ნაწილია, რომელიც ყოველდღიურად აღვივებს ქალაქის მაცხოვრებლებისა და ვიზიტორების ინტერესს დანტეს შემოქმედებისა და მისი ეპოქისადმი. ჩვენს მოკლე მოხსენებაში ჩამოვთვლით ყველა მათგანს, ქართული თარგმანის მითითებით, ასევე მოკლედ მიმოვიხილავთ „ღვთაებრივი კომედიის“ იმ ნაწილებს, რომლებიდანაც ამოღებულია მოცემული ამონარიდები. საინტერესოა, როგორ მოხდა ციტატებისათვის შესაბამისი ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება და რა კონტექსტი აქვს თითოეულ მათგანს. ამას არსებული ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოვარკვევთ.

გამოდინარე „ღვთაებრივი კომედიის“ (თუ როგორც თავად ავტორს აქვს მოხსენიებული, „კომედიის“) მნიშვნელობიდან, იტალიური ენის, ლიტერატურისა და კულტურისათვის, მემორიალური დაფები კიდევ ერთხელ განამტკიცებს ადგილობრივთა და ვიზიტორთა კოლექტიურ ცნობიერებაში ეპოქის დანტესეულ ინტერპრეტაციას და ფლორენციის, როგორც დანტეს მშობლიური და აღორძინების ხანის შემოქმედი ქალაქის იდენტობას.

ლიტერატურა:

- ალგიერი, დ. (1933). „ღვთაებრივი კომედია“. მთარგმნ. კ. ჭიჭინაძე და კ. გამსახურდია. ტფილისი: სახელგამი.
- ლადარია, ნ. (2018). „ღვთაებრივი კომედია“. ილიაუნის გზამკვლევი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <https://guide.iliauni.edu.ge/books/ghvthaebrivi-komedia/>
- ხუბაშვილი, ი. (2004). „ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XII-XV საუკუნეებში“. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- Alighieri, D. (2015). *Tutte le opere, Divina Commedia*. Roma: Newton Compton editori.
- Lombardi, D. (2012). *Lapidi dantesche a Firenze*. Firenze. http://www.danielelombardi.it/works/workspage/04_divina_com_testo.html
- Michelucci, R. (2021). *Leggere la Commedia sulle lapidi di Firenze*. Firenze: Avvenire. www.avvenire.it/agora/pagine/leggere-la-commedia-sulle-lapidi-di-firenze
- Niccolai, F. (2007). *The Dante Plaques: A Florentine Itinerary from The Divine Comedy*. Italy: Coppini Tipografi.

Redazione Nove da Firenze. (2021). Lapidi dantesche, chi se ne prende cura nell'anno di Dante? Firenze: Nove da Firenze. <https://www.nove.firenze.it/lapidi-dantesche-chi-se-ne-prende-cura-nellanno-di-dante.htm>

Riedisser, I. (1913). Inscriptions from Dante's Divina commedia in the streets of Florence. Milan: Alfieri & Lacroix, urn:oclc:record:1047493965. <https://archive.org/details/inscriptionsfrom00rieduoft/page/2/mode/2up>

DANTE IN THE DAILY LIFE OF FLORENCE: COMMEMORATIVE PLAQUES WITH QUOTES FROM THE DIVINE COMEDY

Francesco Cocorullo

University of Naples "L'Orientale" UNO

Ia Melkadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Maastricht University

Keywords: the commemorative plaques, The Divine Comedy, Florence

Commemorative plaques, with quotes from the Divine Comedy, are an integral part of modern Florentine architecture. These commemorative plaques in the native city of Dante, Florence, date back to the early twentieth century. In 1900, the Commune of Florence has commissioned authoritative scholars of Dante's works to identify the places, people, and events throughout the city that the supreme poet referred to in the "Sacred Poem" (Lombardi, 2012). The project lasted for seven years. Thirty-four commemorative plaques containing quotes from Dante's "Divine Comedy" are now found in various parts of Florence.

